ხაშურის მოამბე

№4 (426) 5 თებერვალი, ორშაბათი, 2024 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

1 თებერვალს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც ლევან გამრეკელი უძღვებოდა.

საკრებულომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგით გათვალიწინებული 6 საკითხი. პროექტები მერიის სამსახურების ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს.

საკრებულომ მოისმინა და დადებითად შეაფასა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, (მომხსენებელი ირმა ნოზაძე;).

აგრეთვე, მოისმინა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, მუხრან ჩადუნელის ანგარიში კომისიის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, რომელიც დადებითად შეფასდა.

საკრებულოს წევრებმა კითხვები დაუსვეს სხდომაზე მოწვეულ ა(ა)იპ „ ''ხაშურსერვისი''-ს დირექტორს ზურაბ ნოზაძეს არსებულ გამოწვევებზე.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობის კრებები იმართება

ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია, რომ 25 იანვრიდან აქტიურ ფაზაში შევიდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელება. წელს, მთავრობის დადგენილებით, ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის, ამ პროგრამით, მილიონ ლარამდეა გამოყოფილი. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები უკვე ხვდებიან სოფლის მოსახლეობას, ესწრებიან სოფლის საერთო კრებებს, სადაც მოსახლეობა თვითონ წყვეტს თუ რა პროექტის განხორციელებაა პრიორიტეტი ამ ეტაპისათვის. კრებებზე, აღნიშნული პროექტების გარდა, ხელმძღვანელობასთან ერთად, მსჯელობენ სოფლების სხვა საჭიროებებზეც და ისახება სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზების შესაძლებლობა.

სოფლის კრებებზე, მოქალაქეთა გადაწყვეტილებით შერჩეული პროექტები დასამტკიცებლად მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება, რომლის შემდეგაც გამოცხადდება ტენდერები. დღეისათვის სოფლის კრებები უკვე გაიმართა სამ ათეულამდე სოფელში. ქვემოთ გთავაზობთ თუ კონკრეტულად რომელ სოფელში რომელი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება:

წრომი - სკვერის მოწყობა;

პატარა ყელეთი - ბეტონის გზის პროექტის გაგრძელება;

დიდი ყელეთი - შიდა გზების მოხრეშვა;

აგარები - მინისტადიონის მშენებლობა;

დიდი სატივე - ხიდის რებილიტაცია;

პატარა სატივე - საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცია;

ხიდისყური - სასმელი წყლის სისტემის მოწყობა;

ქვემო აძვისი - სანიაღვრეების მოწყობა;

ახალსოფელი - ტრენაჟორების დამონტაჟება;

ნარუჯევი, ღუდა - გზების რეაბილიტაცია;

წაღვლი - ბეტონის საფარიანი გზა;

ალი - სანიაღვრე არხები;

ნაბახტევი - ბეტონირებული გზა;

ნაცარგორა, დიდი ფლევი - მოსაცდელი და საბავშვო ატრაქციონები;

პატარა ფლევი - ტრენაჟორები;

ტკოცა - საბავშვო ატრაქციონები და სასმელი წყლის წყაროს მოწყობა;

ვაყა - საჭიდაო მოედნის რეაბილიტაცია;

ოსიაური - ე. წ. ბატონის ბაღის დეტალების გამრავალფეროვნება;

ცხრამუხა - შესასვლელში სოფლის სიმბოლოს მოწყობა, დაზიანებული ატრაქციონების შეკეთება და ტრენაჟორების დამონტაჟება;

ქვიშხეთი - შიდა გზების მონაკვეთზე ბეტონის გზების მოწყობა;

ტეზერი - სკვერი, სასმელი წყლის სისტემის მოწყობა;

სურამი - ხიდის მოაჯირების რეაბილიტაცია;

ზემო აძვისი, კლდისწყარო, უწლევი - შიდა გზების ბეტონის საფარის მოწყობა;

ბრილი - სანიაღვრე არხები;

სოფლის კრებები 7 თებერვალს დასრულდება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა

სხდომას უძღვებოდა საბჭოს თავმჯდომარე მორის დანდურიშვილი.

სამოქალაქო მრჩევლებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

საბჭოს წევრებს მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი პაპიაშვილმა გააცნო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში გატარებული ღონისძიებები და ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ 77 სოფელში კრებებისა და კონსულტაციების ჩატარების განრიგი. აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს, მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად 904 000 ლარი გამოეყო.

თენგიზ ჩიტიაშვილმა სამოქალაქო მრჩევლებს ინფორმაცია მიაწოდა იმ პროექტების შესახებ, რაც ხაშურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება და დაგეგმილია. დისკუსია შეეხო წყლისა და წყალარინების მასშტაბური პროექტის მიმდინარეობას, ზემო სერის ტყე-პარკის რეაბილიტაციას, მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, საქალაქო კულტურის სახლის რეაბილიტაციას, სურამსა და სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

სამოქალაქო მრჩევლებმა აღნიშნეს, რომ მისასალმებელია ფორმატი, რომლის მიხედვითაც სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ თავად გადაწყვიტონ, რა უნდა გაკეთდეს მათსავე თემში. მათ დადებითად შეაფასეს მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილება მოქალაქეთა ჩართულობის კიდევ ერთი ფორმის - მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის შესახებ, რაც მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს უკვე მესამედ განხორციელდება.

შეხვედრის დასასრულს მერმა და საბჭოს წევრებმა შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ დამტკიცების შესახებ- N37 დადგენილების, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ N38 დადგენილების და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

განყოფილებაში არის 8 შტატი - განყოფილების ხელმძღვანელი, 3 მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, 2 მესამე რანგის მეორე და 2 მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

მოგეხსენებათ, რომ 2015 წლის ნოემბრის თვიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია გადავიდა ელექტრონულ საქმისწარმოებაზე. ელექტრონული საქმისწარმოების უზრუნველყოფაში დღემდე მთლიანად ჩართულია ჩვენი განყოფილება, საქმისწარმოება მიმდინარეობდა ორ ელექტრონულ მსდა (მუნიციპალური სერვისების განვითარების პროგრამა) და მმს (მუნიციპალიტეტის მართვის სისტემა) მოდულებში. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N678 განკარგულებით დამტკიცდა დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგია ამ სტრატეგიის მესამე მიზნის ფარგლებში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინიციატივით და საქართველოს მთავრობის, მსოფლიო ბანკის (WB) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს მუნიციპალიტეტებში დაინერგა მუნიციპალური ელექტრონული სერვისების ერთიანი პლატფორმა, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო. საქართველოს 63 მუნიციპალიტეტში და მათ შორის ხაშურის მუნიციპალიტეტში 2021 წლის ივნისიდან მუნიციპალიტეტის საქმისწარმოება მიმდინარეობს აღნიშნულ პროგრამაში. შესაბამისად, გადამზადდა მერიის ყველა პროფესიული საჯარო მოხელე, გადამზადდა და პროგრამაში ჩაერთო მერის 13 წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულებში, 18 ადმინისტრაციულ ერთეულებში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი და მერიის მიერ დაფუძნებული 10 ა(ა)იპი. ა(ა)იპ-ებთან მიმართებაში , ელექტრონულ პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით, ჩატარდა 90 მდე ტრენინგი.

არსებული ელექტრონული სისტემის საშუალებით ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას ეძლევა შესაძლებლობა, უფლებამოსილების ფარგლებში, განახორციელოს მოქალაქეთა თავისღიად და გამჭვირვალედ, ერთი ფანჯრის პრინციპით, მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება. მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია უზრუნველყოს მოქალაქეთა უზრუნველყოფა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობაზე შესაბამისი დოკუმენტით (იგულისხმება უარის წერილები). რომელსაც უზრუნველყოფს საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

მსდა პროგრამას მემორანდუმის ფარგლებში დაემატა რეპორტი სოციალურად დაუცველთა მონაცემების შესახებ. ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ (მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთ ვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად) და ,,თ“(მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად) პუნქტების შესაბამისად, ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ ზოგიერთ ოჯახებზე არსებულ მონაცემებზე დაშვება/წვდომა. გამოთხოვილი და მიღებული მონაცემები ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დამუშავებული იქნება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით.

ელექტრონული მმართველობის ერთიანი სისტემა (შემდგომში- მმართველობის სისტემა) წარმოადგენს ერთიან ელექტრონულ სისტემას, რომელიც თავის თავში აერთიანებს რამდენიმე ელექტრონულ სისტემას -კერძოდ A პაკეტის ელექტრონული მმართველობის ერთიან სისტემას. A პაკეტი გულისხმობს: საქმისწარმოების ავტომატიზირებულ სისტემას, კანცელარიის სისტემას, ადამიანური რესურსების მართვის, მაღალმთიანი და სოციალური სერვისების მართვის, ონლაინ განცხადების პორტალს, ინტერაქტიურ რუკას ე. წ. MAP, ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის სისტემას, შენი იდეა მერს, ნარჩენების მართვის, მოქალაქეთა დახმარების ე. წ HELP, ქონების აღრიცხვის და მუნიციპალური კალენდრის სისტემებს.

ადამიანური რესურსების მართვის სისტემა (MS HR) სრულად აკმაყოფილებს 2012 წლის 20 თებერვლის „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N57 დადგენილებით დამტკიცებულ სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2023 იანვარიდან 2023 წლის დეკემბრის ჩათვლით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში დოკუმენტბრუნვამ შეაგინა-39435-მდე. აქედან 4691 ელექტრონული გზით შემოსული ავტორიზებული წერილია. პროგრამაში დარეგისტრირდა 4341 წერილი და 4552 განცხადება მათ შორის: 95 კოლექტიური 2506 ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებთან დაკავშირებული, ხოლო 137 არქიტექტურულ საკითხებთან დაკავშირებული, მერიაში მომზადა და გავიდა 1791 დოკუმენტი, შიდა უწყებრივი დოკუმენტი 5429; მომზადდა 2702 ბრძანება როგორც საკადრო ისე საერთო საორგანიზაციო(სულ); 19 დადგენილება; მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსთან დაკავშირებით ჩატარდა 10 სხდომა, სტატუსის მინიჭებაზე შემოსულია 78 განაცხადი, 61-ს მიენიჭა სტატუსი და 17-ს უარი ეთქვა. გარდაცვალების საფუძველზე რეესტრის მომართვის საფუძველზე სტატუსი შეუწყდა 56 მოქალაქეს, მონიტორინგის საფუძველზე სტატუსი შეუწყდა 31 მოქალაქეს. გაიცა 67 საინფორმაციო წერილი. წლის განმავლობაში განხორციელდა 628 მონიტორინგი. სულ აქტიური სტატუსი, დღეის მდგომარეობით, არის 1885. 1821-მდე წერილი გაიგზავნა სსიპ ,,საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით, ადმინისტრაციულ შენობაში გადასაადგილებლად მოქალაქეებზე გაიცა 1393 საშვი.

გამოიცა 77 მივლინების ბრძანება, 554 შვებულების, 14 მოხელეს კი აუნაზღაურდა საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის დღეები. 1 საჯარო მოხელე და 2 შტატგარეშე მოსამსახურე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N220 დადგენილების “პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” შესაბამისად, დამტკიცდა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2023 წლის შეფასების მეთოდი მერის ბრძანებით. 2023 წლის ბოლოს მოხელეები შეფასდნენ კომპეტენციებით. შეფასებას დაექვემდებარა 84 პროფესიული საჯარო მოხელე.

2023 წელს შიდა კონკურსით 25 პროფესიულ საჯარო მოხელეს შეეცვალა რანგი და გადავიდა მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე.

2019 წლის 1 იანვრიდან, შემსყიდველი ორგანიზაციები და შესყიდვებში მონაწილეობის მსურველები/პრეტენდენტები/მიმწოდებლები „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე ვალდებულები არიან, სახელმწიფო შესყიდვებში ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთ ელექტრონულ დოკუმენტებზე შეასრულონ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და ეს დოკუმენტები დაამოწმონ კვალიფიციური ელექტრონული შტამპით. კვალიფიციურ ხელმოწერის განხორციელებას, კოორდინირებას და ხელშეწყობას აქტიურად უზრუნველყოფს განყოფილება.

პროფესიული საჯარო მოხელეები აქტიურად არიან ჩართული ე.წ. ZOOM ელექტრონული პლატფორმის ფარგლებში ტრენინგ სწავლებაზე. სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ ორგანიზებული ტრენინგი ,,პროგრამული ბიუჯეტირება მუნიციპალიტეტებისათვის“ წარმატებით გაიარა მერიის პირველი რანგის 6-მა და მეორე რანგის 1-მამოხელემ. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ დაგეგმილი ვებინარებში, ტრენინგებსა და ფორუმებში ასევე აქტიურად არიან ჩართული საჯარო მოხელეები. 32-მა მოხელემ, პროფესიული განვითარების კუთხით, მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ტრენინგში. შშმ პირთა უფლებების დაცვის, მიკრო გრანტების პროგრამასთან დაკავშირებით, ქალთა ორგანიზაციის სახელით, ინფორმაციის თავისუფლების, ნარჩენების მართვის, გარემოსდაცვითი დემოკრატია და კლიმატის მმართველობის ხელშეწყობის, კეთილსინდისიერების ამაღლების, მუნიციპალიტეტებში ბავშვიან ოჯახებზე მორგებული სოციალური პროგრამების, სივრცითი ქალაქმშენებლობითი განვითარების, ენერგორესურსების ეფექტური გამოყენების, საქართველოს ფინანსისტთა ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში თითქმის ყველა განყოფილების მოხელემ გაიარა პროფესიული განვითარების ტრენინგები.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაღების (18 საბავშვო ბაღი) ელექტრონულ საქმისწარმოებაში ჩართვის პროცესი. ტექნიკური მხარე მოგვარებულია, შეძენილია კომპიუტერული ტექნიკა და დაწყებული საბავშვო ბაღების თანამშრომელთა გადამზადების პროცესი. 12 საბავშვო ბაღი უკვე ჩართო ელექტრონულ საქმისწარმოებაში.

განყოფილება მუშაობას აგრძელებს აქტიურ რეჟიმში და მისი ყველა თანამშრომელი მომავალშიც მზად არის თავი გაართვას მასზე კანონმდებლობით დაკისრებულ ამოცანებს.

ირმა ნოზაძე-ჩადუნელი,

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი:

„ბრძოლა“ ქვიშხეთის სკოლის პროექტისათვის

გადაწყდა, ქვიშხეთის ნახანძრალ სკოლის შენობის ნაცვლად, ახალი აშენდეს, თანაც ახალ ადგილზე, სოფლის ცენტრთან ახლოს. ჩამოვიდნენ განათლების საპროექტო განყოფილებიდან, გაზომ - გამოზომეს შერჩეული ადგილი და ერთი კვირის თავზე დამიბარეს.

გვარიანად გამომპრანჭა მეუღლემ: პიჯაკი „პროკურორი“ (იყო ასეთი), ფინური ფეხსაცმელი, ძვირფასი ჰალსტუხი (ამეებით სიძემ მომამარაგა). ზუსტად 12 საათზე მთავრობის სახლთან ვარ. ავიღე საშვი და „ავფრინდი“ მეხუთე სართულზე. მოვძებნე საპროექტოს განყოფილება. მორიდებით შევაღე კარი. ათამდე კაცი ზის მაგიდებთან. კედლებზე შენობის პროექტებია. მაგიდებზეც ნახაზებია. ჭაღარა კაცი ზის კუთხეში, იმასთან მივედი. ავუხსენი ჩემი სტუმრობის მიზეზი. აგერ, შედი იმ ოთახში, უფროსი იქ არის და ის აგიხსნის ყველაფერსო. წავიკითხე - საპროექტოს უფროსი ნ. აფხაზავა. გავიფიქრე, სახლშიც მეგრელი, აქაც მეგრელი (მეუღლეა მეგრელი). შემოიტანეს პროექტი, გაშალეს მაგიდაზე და დამიწყეს ახსნა-განმარტება.

წარმოიდგინეთ დღევანდელი ქვიშხეთის საჯარო სკოლა. პირველი კორპუსის გარეშე, უფრო დაბალი. საკლასო ოთახები 50 – 60 კვ.მ.არავითარი რეკრეაციული ზონა. ყველაზე დიდი ოთახი 80კვ.მ. ბიბლიოთეკა 40 კვ.მ. პიონერთა ოთახი უფრო პატარა. პროექტის ავტორი, ახალგაზრდა კაცი ნახაზზე მიჩვენებს სად რა არის. ნახაზების ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ვხვდები პროექტი მოსაწონი არ არის.

- ეს საკუჭნაოები საკლასო ოთახებია? - ვეკითხები დაცინვით.
- აბა შენ რა გგონია, რას უწუნებ?

ამიხსნეს, რომ ეს არის სტანდარტული პროექტი 300 -350 მოსწავლეზე. 500 მოსწავლე რომ გყავდეთ, მაშინ სხვა იქნებაო.

- რომ გაიზარდოს კონტიგენტი, რა უნდა ვქნათ, - ვეკითხები (320 მოსწავლე გვყავდა...)

არ მომწონს, მეთქი ვუთხარი და დავბრუნდი უკან გაწბილებული.

მეორე დღეს განათლების განყოფილებაში მივედი. „- მე რა გიშველო, - მეუბნება გამგე - ასეთი პროექტებით არის აშენებული ბევრი სკოლა რაიონში და რესპუბლიკაშიც. ჩვენ ვინ რას გვეკითხება. წავედი აღმასკომში. აღმასკომის თავმჯდომარე ომარ ხაჯაველიძესთან. ავუხსენი რაშიც იყო საქმე. მირჩია, არ დაეთანხმოთ, თან მინისტრის სახელზე წერილი აფრინა. სკოლის კონტიგენტი მზარდია და 500 ბავშვზე გაითვალისწინეთ ახალი პროექტიო.

დავიცადე ერთი კვირა და ისევ დავადექი თბილისის გზას. წერილი უკვე აფხაზავასთან იყო.

- შენ ვინ ყოფილხარ? როგორ ფიქრობ ჩვენ არ გვირჩევნია 500 მოსწავლეზე დავაპროექტოთ სკოლის შენობა, ვიდერ სამასზე, მაგრამ საგეგმო კომიტეტი არ გვაფინანსებს, თუ დაგვაფინანსებს ხომ კარგი, მაგრამ გამორიცხულია.
- სად არის საგეგმო კომიტეტი, წავალ.

- მეოთხე სართულზე, ჩახვალ, მარჯვნივ გაჰყევი დერეფანს, იქ არის. ფეხზე ამდგრები და დროშების ფრიალით შეგხვდებიან, ეს ვინ მოსულაო? - დამიწყო დაცინვა.
- მაგასაც ვნახავ, - ვუთხარი. (საერთოდ მორიდებული კაცი ვარ, მაგრამ ამ გაწამაწიაში სითამამე მომემატა).

ჩავედი. მივაგენი საგეგმო კომიტეტს, უფროსის კაბინეტსაც. ქვილითაია - აწერია კაბინეტს, ისევ მეგრელი) შვებულებაშია, ათ დღეში დაბრუნდება - მითხრა მდივანმა.

დავბრუნდი ქვიშხეთში. 5 დღის შემდეგ ქვიშხეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის სხდომაზე ვარ (თავმჯდომარე ირაკლი გურული. მე, თქვენი მონა - მორჩილი, მოადგილე ვარ). ადრე მივედი, სხვა წევრები არ იყვნენ მოსულები.

- როგორ არის ახალი სკოლის საქმე? - მეკითხება.
- ცუდად არის, რაღაც უვარგის პროექტს გვთავაზობენ. 500 ბავშვზე საგეგმო კომიტეტი არ დაგვაფინანსებსო, - ვუთხარი.

რომ გაიგო ქვილითაიას შეუძლია გადაწყვიტოს ეს პრობლემა, გაუხარდა და მითხრა, - ნუ გეშინია, უარს არ იტყვისო.

- ვითომ, რატომ არ იტყვის უარს?
- იმიტომ, რომ ქვილითაია ორი წელი ჩემს ბინაში ისვენებდა ოჯახით. ვმეგობრობთ და ახლო ურთიერთობა გვაქვს. ბორჯომში გაუცვნია ირაკლის, წამოუყვანია და ორ ოთახში დაუყენებია ცოლ-შვილი. დიდ პატივისცემაში ჰყოლია, ქირაც არ გადაუხდევინებია (ასეთი რამეები არ ეშლებოდა ირაკლის).
- წადი და უთხარი, ირაკლიმ გამომგზავნაო, მე კი აქედან შევეხმიანები.

ერთი კვირის შემდეგ გავემგზავრე. იმ დღეს მიღება არ ჰქონდა. ვთხოვე მდივანს - უთხარი ქვიშხეთის სკოლის დირექტორიაო. თვითონ გამოიხედა. დიდის ამბით ჩამომართვა ხელი. ჰერაკლე როგორ არისო მკითხა. მოვყევი ყველაფერს. აიღო ყურმილი და აფხაზავას დაურეკა, ესაუბრა მასაც, დაწვრილებით გამოკითხა რა როგორ იყო და მოწყვეტით უთხრა - დააპროექტე თ 500 მოსწავლეზე, ფინანსები არ მოგაკლდებათო. -ამოვიდეს ეგ ვაჟბატონიო, - უპასუხა აფხაზავამ. სულმოუთქმელად ავირბინე კიბე. - რა ქენი, როგორ დაიყოლიე ასეთი რამე პირველად ხდებაო. - შევულოცე მეთქი.

დაუძახა 300 კაციანი პროექტის ავტორს - შეამოწმე სკოლის ასაშენებლად გამოყოფილი ნაკვეთი და თუ ჩაეტევა 500 ბავშვზე გააკეთეო - უთხრა. გადმოიღო ქვიშხეთში გაკეთებული ნახაზი, გაზომა რაღეცები და მითხრა, - არ გამოვა, ნაკვეთი არ ჰყოფნისო. აი, ამ ადგილს, ვენახად, რომ გაწერიათ, ვერ შევეხებითო.

- ამ ამორტიზებული, გამხმარი ვენახისათვის უნდა ჩაიშალოს ამოდენა საქმე? - ვთქვი დაღონებულმა.
- წადი ეხლა, ეს ვენახი მოაცილე და მერე ჩამოდი.

მეორე დღეს ქვიშხეთის მეურნეობის დირექტორს შურა ციცქიშვილს „დავესხი თავს“ (კაცურ კაცს). დაუძახა ბრიგადირს და უბრძანა, ხვალ დილას ის გამხმარი ვენახი აღარ იყოს ადგილზეო. ბრიგადირმა ორი მუშა მოძებნა (ზამთარია, მუხლებამდე თოვლი) - წაყევით ამას და რაც გითხრათ, ის გააკეთეთო. ვაჩუქე მუშებს 10-10 მანეთი და საღამოსთვის ყველაფერი რიგზე იყო. დავურეკე პროექტის ავტორს, მზად არის, ჩამობრძანდითო. ჩამოვიდნენ, შეადგინეს ნახაზი და მითხრეს - ხარჯთაღრიცხვა გაკეთდება და შემოგივლითო. ერთი თვის თავზე დარეკეს განათლების განყოფილებაში. ხარჯთაღრიცხვა წაიღეთ „უკსშიო“ (კაპიტალური მშენებლობის სამმართველო). მეორე დღეს, 12 საათზე, იქ ვიყავი. საპროექტოში ღიმილით შემხვდნენ, - ეს რა პროექტი დაითრიე, ასეთი სკოლა ერთი დასავლეთ საქართველოშია, ერთიც ქვიშხეთში იქნებაო, მითხრეს. მაღარიჩი როდის იქნებაო, - როდესაც გნებავთ მაშინ ჩამობრძანდით - მეთქი.ამკიდეს 10-15 კილოგრამიანი ხარჯთაღრიცხვა და გამომისტუმრეს გორში. იმ დღესვე ჩავაბარე მშენებელს.

1979 წლის გაზაფხულზე მშნებლობა დაიწყო. იმ წელიწადს ბევრი სკოლის მშენებლობა დაკონსერვდა ფინანსების უკმარისობის გამო, ქვიშხეთის სკოლის მშენებლობას კაპიკიც არ მოკლებია. სკოლის მშენებლობის დამთავრებისას ინვენტარიც შემოვზიდე თბილისიდან და .... მოულოდნელად „ფეხი გადამიბრუნდა“. „ჩამომალაბორანტეს“. სკოლის გახსნისას ახალმა დირექტორმა დიდი ბანკეტი მოაწყო. მეც დავესწარი, არავის გავხსენებივარ, ვიჯექი მობუზული, ლუკმა არ ჩამდიოდა ყელში...

ასე იყო ეს ამბავი!

თუ მკითხევლს არ ეწყინება ერთ ამბავს სკოლასთან დაკავშირებულს კიდევ გავიხსენებ. ერთხელ ახალ სკოლაში გაკვეთილების დამთავრების შემდეგ 5 მასწავლებელი საყარაულოში პურს ჭამს. მეც „შემითრიეს“. როგორღაც წავიბუტბუტე, - ამ სკოლის მშენებლობას დიდი დრო დავახარჯე. ნეტავი თუ დამიფასებენ? ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა.

- შენც არ თქვა ახლა „ეიფელის“ კოშკი ავაგეო, წაიბურტყუნა ისტორიის მასწავლებელმა. ახლაც მახსოვს მისი დამცინავი და შურიანი თვალები „შური არს მწუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა“, ბრძანა დიდმა სულხან-საბამ.

შური საშინლებაა, იქიდან ბოროტებამდე ერთი ნაბიჯია. ვერ ავიტანე მისი დამცინავი სიფათი და მივახალე, - ქვიშხეთისათვის ეს სკოლა ეიფელის კოშკიც არის და „ემპაიერ ბილდინგიც“, მე ქვიშხეთელი ვარ და ქვიშხეთში ავაშენე, ეიფელი პარიზელი იყო და პარიზში ააგო. შენ ერთი უსამშობლო დაბოღმილი და სიძულვილით გაჟღენთილი კაცი ხარ, შენისთანებს მხოლოდ ნგრევა შეუძლიათ. (ამ კაცმა დიდი როლი ითამაშა დირექტორობიდან ჩემს განთავისუფლებაში).

ერთი კვირის თავზე, ცხრამუხაში გადამიყვანეს, სასწავლო ნაწილის გამგედ. ოთხი წლის თავზე, ქვიშხეთის საკრებულოს გამგებლად ამირჩიეს. ეროვნული მოძრაობა ახალი დაწყებულია. ერთ დილას ოთხი მეთერთმეტეკლასელი შემოვიდა კაბინეტში. სამი ბიჭი და ერთი გოგონა. ხსენებული ისტორიის მასწავლებელზე მესაუბრნენ.

- გაუგონარ შეურაცხყოფას აყენებს ჩვენ ისტორიას, ისტორიულ პირებს, განსაკუთრებით თამარ მეფეს, გადავწყვიტეთ მაგის გაკვეთილზე არ შევიდეთო.
- მარტო თქვენ ხართ მაგ აზრზე, თუ ორივე მეთერთმეტე კლასი? - ვკითხე
- ყველანი ამ აზრზე ვართ, მეათე კლასსაც დავიყოლიებთო, - მიპასუხეს.
- კარგად მოგიფიქრებიათ, ბოლომდე თუ იბრძოლებთ გააგდებენ მაგ ნაძირალას, ახლა სხვა დროა.
- კი, ვიბრძოლებთ.
- აბა, დღსვე არ შეხვიდეთ და ვნახოთ რა მოხდება?

ასე დაიწყო მოსწავლეთა გაფიცვა. სკოლის დირექტორი მესამე დღეს განათლების განყოფილების გამგეს ეახლა. გაფიცვის მიზეზებიც აუხსნა. ბატონი მურად მთვარელიძე იმ დღესვე ამოვიდა სკოლაში. ესაუბრა გაფიცულებს. მერე მასწავლებელს და მოსთხოვა შენი განცხადებით წადიო. წავიდა. ცხინვალში გადაბარგდა და რენეგატ ოსებს შეუერთდა. ალბათ საინტერესოა, რამ აღაშფოთა მოსწავლეები: ბაყათარ ოსი ღალატით მოკლა ვახტანგ გორგასალმა. გორი ოსების დედაქალაქი იყო და ქართველებმა მიიტაცეს. დიდგორის ომში ოსებმა და ყივჩაღებმა გაგამარჯვებინესო. ოსებს უკეთესი ისტორია აქვთ. ჩვენმა წინაპრებმა ჰუნებთან ერთად ევროპა დალაშქრეს, აპენინის ნახევარკუნძულს მიაღწიეს, იქიდან კი ჩრდილოეთ აფრიკა დალაშქრეს. განსაკუთრებით შეურაცხმყოფელი იყო მისი გამონათქვამები თამარ მეფეზე... ვერ გავიმეორებ.

და დღეს მივაბიჯებ სკოლასთან ახლო მდებარე გზატკეცილზე, შევყურებ სკოლას და გული სიამაყით მევსება. რაღაც გამიკეთებია!!!

კლიმენტი სუთიაშვილი,
ისტორიკოსი

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3)

თეიმურაზის კაკლები - ადგ; იგივე ქიტიას კაკლები. ,,ეს ადგილი თეიმურაზ ხერხეულიძემ მიჰყიდა ავთანდილ ბეგთაბეგიშვილს“(აკ. პაპუაშვილი).

კვირიკე – ადგ., სალოცავი სოფლის ცენტრში

კვირიკეს აღმართი – ადგ; გზა სოფლის ცენტრში.

ლაშეები – ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს.

მაისურაძეები – ადგ; უბანი სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში

მაისურაძეების წყარო – ადგ; წყარო

მინდვრის წყარო –ადგ; წყარო

მოდრეკილა – ადგ; ვენახი სამხრეთის მხარეს. ,,ადრე სახნავი იყო, ახლა ვენახია გაშენებული. მოქვაბულივით არის, ტაფობი“.

მუხები – ადგ., ვენახი სამხრეთის მხარეს. ,,სახნავი იყო ადრე, ახლა ვენახია გაშენებული”.

მუხის წყარო –ადგ; წყარო სამხრეთის მხარეს. ,,ადგილ ცოდიანებშია“

ნაკორდები//ნაკორდლები – ადგ., ტყე სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,შემოსევის დროს თურქებმა გადაწვეს, ხალხას, რომ თავი აღარ შეეფარებინა. დარჩა კორდლები, ხის დამწვარი ძირები. აქედან წამოვიდა სახელი ნაკოდლები. იგივე დიდი ტყე“(აკ. პაპუაშვილი).

ნაფუზრის მიწა – ადგ., სახნავი. დასტურდება პაპუაშვილებს შორის 1939 წლის II ნოემბრის გაყრილობის განაჩენში.

ნაძვების მიწები – ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს ,,დიდი ნაძვები ყოფილა ადრივე, ჩვენს დროში გაჩეხეს“.

პატაანთი –ადგ; უბანი სოფლის დასავლეთ ნაწილში.

სადაოები – ადგ., სახნავი, ტყე აღმოსავლეთის მხარეს. ,,ფლეველებთან გვქონდა დავა. ჯერ მათ წაგვართვეს, მერე ჩვენ. ახლა ისევ იმათ წაგვართვეს“. ,,ფლევისა და დუმაცხოვის საზღვარზე. დიდი ფლევის მოსახლეობა ედავებოდა ამ ადგილზე მიხაკა ხერხეულიძეს“(აკ. პაპუაშვილი).

სერები – ადგ., ვენახი დასავლეთის მხარეს.

სიდონთი –ადგ; უბანი სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში.

ტატუკაანთი –ადგ; უბანი სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში.

ქიტას კაკლები – ადგ., სახნავი, სათესი, ვენახი დასავლეთის მხარეს. ,,ნასახლარებია. კაკლები დგას. მაისურაძეები მდგარა“. ,,ვენახი გააშენეს აქ. როცა გუთანი გაატარეს, ქვევრები ამოვიდა და შენობის ნანგრევები. მაისურაძე იყო ქიტია“(აკ. პაპუაშვილი).

ღელეები – ადგ; სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ღელე დადევს საზღვრად ჩვენსა და ფლეველებს შორის“.

შამანაძის ტყე – ადგ; ტყე აღმოსავლეთის მხარეს. ,,ვიღაც შამანაძე ცხოვრებულა“. ,,შამანაძეს გლეხი გაულახავს ამ ტყეში. სარი მოუჭრია. გლეხი ჩამოსულა სახლში, შვილისთვის უთქვამს. შვილი წასულა. რომ უთქვამს, რატომ გალახეო, შამანაძეს მისთვისაც უთავაზებია. გლეხის ბიჭს ხმალი წაურთმევია მისთვის და მარცხენა ხელი ჩამოთალა. ამის შემდეგ შერქმევია შამანაძის სახელი ამ ტყეს“(აკ. პაპუაშვილი).

შაქარა მიწები – ადგ; სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,მჩატე, პირადვილი მიწაა, მაგრამ მოსავალი არ მოდის კარგი, სამუშაოდ კარგია“.

ცოდიანები – ადგ., საძოვარი, სახნავი, ვენახი სამხრეთის მხარეს. ,,ბატონმა ლევან ხერხეულიძემ მოკლა თავის ძმისწული ამ ნაკვეთში და იმიტომ დავარქვით“. ,,მიხა ხერხეულიძისაა, ძმისშვილი შეედავა, მიხაკამ ხმლით მოკლა ძმისშვილი და ამის შემდეგ დაარქვეს ეს სახელი ამ ნაკვეთს“(აკ. პაპუაშვილი).

წვრილი გზები – ადგ; ტყე აღმოსავლეთის მხარეს. ,,პატარ-პატარა გზები ჩამოდიოდა”.

ჭალები – ადგ; საძოვარი აღმოსავლეთის მხარეს.

ხატიმიწები – ადგ; სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,სახატო ყოფილა. ლიჩს ეკუთვნოდა. ლიჩი სოფელია საჩხერეში“.

ხერხეულიძეები – ადგ; უბანი სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში.

ხიდაშელების უბანი – ადგ; უბანი სოფლის აღმოსავლეთის ნაწილში.

სოფელი ზემო აძვისი

არსენას წყარო – ად; წყარო

ბუსბუდეები – ადგ; სათესი

გიგას მიწა – ადგ; სათესი

გუგულის ქედის გრძელი მიწები – ადგ., სათესი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. დაფიქსირებულია ხაჩიძეების 1908 წლის გაყრის განაჩენში.

გუგულის ქედი – ადგ., ქედი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,გადმოცემით სოფელში საქონელი დაკარგულლა. ქედზე რომ ტყე იყო, იქიდან გუგულების ხმიანობა შემოსმიათ. ალბათ, ჩვენი საქონელი იქააო, - იფიქრეს, მართლაც, საქონელი იმ ტყეში იპოვნეს. ამის შემდეგ ადგილს გუგულის ქედი შეერქვაო.

გრძელი მიწები – ადგ., სათესი. დაფიქსირებულია ხაჩიძეებს შორის 1908 წლის გაყრის განაჩენში.

დიდუბე – ადგ; სათესი, ტყე.

ზედამოთხევი – ადგ; სათესი.

თელების მიწა – ადგ; სათესი, დაფიქსირებულია ხაჩიძეების 1908 წლის გაყრის განაჩენში.

თხილნარი – ადგ; სერი.

თხილნარის მიწა – ადგ; სათესი. დაფიქსირებულია 1908 წლის ხაჩიძეების შორის გაყრის განაჩენში.

კვერისები – ადგ., სათესი.

ლაშის მიწა – ადგ., სათესი. დაფიქსირებულია ხაჩიძეებს შორის 1908 წლის გაყრის განაჩენში.

ლეჩაქის ყურა მიწა - ადგ; სათესი დაფიქსირებულია ხაჩიძეების 1908 წელის გაყრის განაჩენში.

მაკალო – ადგ; ტყე.

მანანაანთხევი – ადგ; წყარო.

მლაშეწყალი – ადგ; წყარო.

მუხის წყაროს მიწა – ადგ; სათესი. დაფიქსირებულია ხაჩიძეების 1908 წლის გაყრის განაჩენში.

ნადელების თავის მიწები – ადგ., სათესი. დაფიქსირებულია ხაჩიძეების შორის 1908 წლის გაყრის განაჩენში.

ოსის ნაჭერი – ადგ; სათესი. დაფიქსირებულია ხაჩიძეების შორის 1908 წლის გაყრის განაჩენში.

პირშეღმა მიწები – ადგ; სათესი. დაფიქსირებულია ხაჩიძეების 1908 წლის გაყრის განაჩენში.

სავაყო – ადგ; სათესი

სათეძვისო - ადგ; სათესი

სათივე – ადგ; დაფიქსირებულია ხაჩიძეების 1908 წლის გაყრის განაჩენში. სათივის მიწა – ადგ., სათესი. დაფიქსირებულია ხაჩიძეების შორის 1908 წლის გაყრის განაჩენში.

საკაკი – ადგ; ტყე.

სამება – ადგ; სალოცავი სამხრეთ-დასავლეთ მხარეს.

სამოსახლო – ადგილი.

სატივის გზის მიწა – ადგ; სათესი. დაფიქსირებულია ხაჩიძეების შორის 1908 წლის გაყრის განაჩენში.

საქარის მიწა – ადგ; სათესი. დაფიქსირებულია ხაჩიძეების შორის 1908 წლის გაყრის განაჩენში.

საქცევი – ადგ; სათესი. დაფიქსირებულია ხაჩიძეებს შორის 1908 წლის გაყრის განაჩენში.

სართუმალა – ადგ; სათესი. დაფიქსირებულია ხაჩიძეების შორის 1908 წლის გაყრის განაჩენში.

სოფლის პირის მიწა – ადგ; სათესი დაფიქსირებულია ხაჩიძეების შორის 1908 წლის გაყრის განაჩენში.

სურამის გზა – ადგ; სათესი დაფიქსირებულია ხაჩიძეების შორის 1908 წლის გაყრის განაჩენში.

ტილიანა – ადგ; მდინარე

ტყისთავის მიწა – ადგ; სათესი.

ფერდობის მიწა – ადგ; სათესი. დაფიქსირებულია ხაჩიძეების 1908 წლის გაყრის განაჩენში.

ფოშტის გზა - ადგ; დაფიქსირებულია ხაჩიძეების 1908 წლის გაყრის განაჩენში.

ფრონე - ადგ; მდინარე.

ქვედაუბანი - ადგ; უბანი.

ქიქინეების წყარო - ადგ; წყარო.

ღვთისმშობელი - ადგ; სალოცავი დასავლეთის მხარეს.

შუა საქცევი- ადგ; სათესი. დაფიქსირებულია ხაჩიძეების 1908 წლის გაყრის განაჩენი.

ჭერათხეულა - მდინარე, იგივე ფრონე.

ჭიძინების წყარო - ადგ; წყარო

სოფელი კლდისწყარო

გადაბრუნებული - ადგ., სათესი, სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,ჩვენ წინაპრებს მიწა გადაებრუნებინათ და ვენახი გაუშენებიათ. ახლა სახნავია“.

გამოღმა კლდისწყარო - ადგილი; ნაბახტევის მიჯნების 1803 წლის წიგნში ნათქვამია: ,,ორსავ კლდისწყაროებს შუა ევი ჩამოვარდება. ხევს გაღმა კლდისწყარო დავითიშვილისაარის და გამოღმა კლდისწყარო თარხნიანთი არის. ნაბახტევის მხარეს ღელე, რომ ჩამოვარდება, იმ ხევამდინ და ბოლოს ტილიანას ხევის პირზედ, რომ საჯვარე არის, იქამდისინ კლდისწყაროსი არის“.

გაღმა კლდისწყარო - ადგილი; იხ. გამოღმა კლდისწყარო.

დიდი ღელე//დიდღელე - ადგ., ღელე. ,,ჩვენი წყლებია, წიფლის ტყიდან იწყება, ჩვენი წყარო ქმნის, ჩადის მდ. ტილიანაში, წისქვილს აბრუნებს, მაგრამ მაინც ღელეს ვეძახით”.

დიდი ტყე - იხ. ვერხვები, ვერხვების ტყე.

ვერხვები//ვერხვების ტყე - ადგ., ტყე, საძოვარი. ჩრდილოეთის მხარეს. ,,ვერხვი იყო, დღეს აღარ არის. მუხნარი დარჩა. წიწვოვანი ტყეა ახლა გაშენებლი“.

ლაშეები//ლაშის მიწები - ადგ., სათესი, მინდორი, საძოვარი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ლაშე წყალი იყო ჩემს ბავშვობაში, შემდეგ დაშრა“.

მიხას კაკალი - ადგ., სახნავი, სათესი სამხრეთის მხარეს. “ახლა ვენახია გაშენებული. მიხა გონგლაძე იყო”.

ნადელები - ადგ., სათესი სახნავი სამხრეთის მხარეს.

ნასაღოლები//ნასაღველები - ადგ., სათესი, მინდორი, საძოვარი დასავლეთის მახრეს. ,,ადრე ღოლო ხარობდა“.

ნაფეტვარი - ადგ., ტყე ჩრდილოთის მხარეს. ,,ფიჭვნარია გაშენებული. ადრე ფეტვი ითესეოდა”.

ნაქერალი - ადგ., საძოვარი, მინდორი ჩრდილოეთის მხარეს. ,,აქ ქერი ითესებოდა“.

პანტიმიწები – ადგ., საძოვარი, სათესი სამხრეთის მხარეს. ,,ყველაზე კარგი ადგილი იყო. პანტები ყოფილა, ახლა აღარ არის“.

რიყეები – ადგ., სახნავი სათესი სამხრეთის მხარეს. ,,რიყიანი ადგილია“.

საიჯარო//საიჯაროები – ადგ., სათესი, სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ადრე იჯარა ჰქონდათ აღებული, ჩვენ არ გვეკუთვნოდა“.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ხაშურში აქტიურად ხორციელდება „წყალმომარაგებისა და წყალარინების" სისტემების რეაბილიტაციის პროექტი

„ხაშურის მუნიციპალიტეტის შუამდგომლობით, ამ ეტაპზე სამუშაოები ყაზბეგის ქუჩაზე მიმდინარეობს. რადგან ხაშურში ტრანსპორტის ცალმხრივი მოძრაობაა, განსაკუთრებულად დაიტვირთა ყაზბეგის ქუჩა, რომელიც ქალაქს ცენტრალურ საავადმყოფოსთან და მესამე სკოლასთან აკავშირებს, ამიტომ მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ, აღნიშნულ ქუჩაზე დროულად განხორციელებულიყო წყლის რეაბილიტაციის სამუშაოები, რათა დავაგოთ ასფალტის საფარი. უკვე მიმდინარეობს პროექტირების სამუშაოები.

პარალელურ რეჟიმში, „წყალმომარაგებისა და წყალარინების" სისტემების სამუშაოები მიმდინარეობს რუსთაველის ქუჩის პირველ ჩიხში და თავდადებულის ქუჩაზე.

აღვნიშნავ იმასაც, რომ სოფელ ცხრამუხაში, უახლოეს პერიოდში, დაიწყება გორგასლის ქუჩიდან ცენტრამდე და ბორჯომის ქუჩის მიმართულებით გზების მოწესრიგება, რისთვისაც 1 451 402 ლარია გამოყოფილი. ასევე მოწესრიგდება ხმლაძეების, ლაცაბიძეების უბნისა და სასაფლაომდე მისასვლელი (რბონის დასახლების მიმართულებით) გზები."-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა

ხაშურში საქალაქო კულტურის სახლის (ყოფილი რკინიგზის კლუბის) რეაბილიტაცია მიმდინარეობს

პროექტით, შენობის სრული რეკონსტრუქციაა გათვალისწინებული. ამ ეტაპზე მიმდინარეობს, როგორც დარბაზის, ასევე, კულისებისა და

ადმინისტრაციული ოთახების მოწყობა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი-თენგიზ ჩიტიაშვილი მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნო და განმარტა, რომ პროექტის ფარგლებში, დარბაზში დამონტაჟდება თანამედროვე ტიპის გახმოვანების და განათების სისტემები, შესაბამისი აკუსტიკით. მოწესრიგდება წყლის და კანალიზაციის სისტემები, იქნება გათბობა.

მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე, ასევე, ეცნობოდნენ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ ლომიძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გიორგი პაპიაშვილი. მათი განმარტებით, საქალაქო კულტურის სახლის რეაბილიტაციის პროექტი გარდამავალია, სამუშაოების ღირებულება 1714744 ლარს შეადგენს და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

კულტურის სახლი ათწლეულების განმავლობაში არ გარემონტებულა, შემდგომ, იყო გარკვეული შეფერხებები, რამაც შენობის რეაბილიტაციის პროცესები შეაჩერა.

მიმდინარე პროექტის დასრულების შემდეგ კი, ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრება უფრო აქტიურად გაგრძელდება.

ხაშურში, ზემო სერის ტყე-პარკის მშენებლობა გრძელდება. სულ მალე დასრულდება სამუშაოების მეორე ეტაპი და დაიწყება მესამე ეტაპი

„სამუშაოების პირველი ეტაპის ფარგლებში, მოეწყო გარე განათებები, ფანჩატურები, სარბენი და ველო ბილიკები, დამონტაჟდა სხვადასხვა ტიპის დასასვენებელი სკამები, მაგიდები და ნარჩენებისთვის განკუთვნილი urნები. მეორე ეტაპის მშენებლობის ფარგლებში მიმდინარეობს ამფითეატრისა და სკეიტბორდის მოედნის მშენებლობა, შესასვლელი ტერიტორია და ბილიკებს შორის არსებული სივრცეები გავალამაზეთ დონომიტის დეკორატიული თეთრი ქვებით. მესამე ეტაპის ფარგლებში, მოვაწყობთ კალათბურთის, ჩოგბურთის და ფეხბურთის მოედნებს, დამონტაჟდება გარე გამოყენების ტრენაჟორები და რაც მთავარია, იქნება სივრცე ხელმოწერის ცერემონიებისთვის. დაირგვება უამრავი მწვანე ნარგავი, რაც მეტ ხიბლს შემატებს აქაურობას"-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა სამუშაოების დათვალიერებისას.

მერთან ერთად, ადგილზე იმყოფებოდნენ მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გიორგი პაპიაშვილი. მათი განმარტებით,



პროექტს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ერთობლივად აფინანსებს.

პირველი ეტაპის სამუშაოების ღირებულებამ 803 897 ლარი შეადგინა, ხოლო მეორე ეტაპის სამუშაოების ღირებულება 1 158 885 ლარია.

„ნატიფი ნაზუქი" -ბრენდი, რომელმაც უმოკლეს ვადაში „დაიპყრო" სამომხმარებლო ბაზარი

ჩვენი მუნიციპალიტეტის სახელი, ნაზუქთან და ჰამაკთან რომ ასოცირდება , ეს ფაქტი, უკვე სიამოვნების განცდასაც კი აჩენს. ჩუმათელეთის გზაზე, ბაჩოს, ნუკრის, მატრონას და სხვათა სახელობის ნაზუქების ორმხრივი რიგები, უკვე ნიშნავს, რომ ნაზუქი ადგილობრივი ბრენდია, რომელიც ადამიანების მოწონებას და სიყვარულს იმსახურებს. თონის ნაზუქი, როგორც აქამდე გვეგონა, სულაც არ აღმოჩნდა ტრადიციული. როგორც ჩემი რესპონდენტისგან გავიგე, კლასიკური ნაზუქი, სხვა შემადგენლობისაა და თონეში ცხობას სულაც არ საჭიროებს. **ირაკლი გარადინსკი** „ნატიფის" დამფუძნელია. მოიძია და ძველი სიცოცხლე დაუბრუნა ნაზუქის მამა-პაპურ რეცეპტს. დიდი ენერგია და ძალისხმევა დასჭირდა, სანამ ძველ, სასურველ გემოს მიაგნებდა. მონდომებამ გაამართლა და ორი წელია, „ნატიფი ნაზუქი" ღირსეულ კონკურენციას უწევს სურამში „ნაზუქის მექად" აღიარებულ სანაზუქეებს. დღეს, „ნატიფი"-ის ბრენდის ქვეშ, 40-მდე დასახელების პურ-ფუნთუშეულია გაერთიანებული და ორ წელში, მათი წარმოება ხუთ ფილიალს მოიცავს.

ირაკლი გარადინსკი, „ნატიფის" დამფუძნებელი:

-სურამში გვქონდა კაფე „ოქროს ხელები", სადაც მივიღეთ საბაზისო გამოცდილება, ბევრ კერძთან ვიმუშავეთ. ამის შემდეგ, გადავწყვიტეთ, ისევ კვების მიმართულებით წავსულიყავით და დავიწყეთ ფიქრი იმაზე, რა იქნებოდა ეს. პირველი, რაც მოვიფიქრეთ და საბოლოოდ შევჯერდით, ნაზუქი იყო. ის ფაქტი, რომ ადგილობრივი ბაზარი უკვე გაჯერებული და ათვისებული იყო, გამოვიყენეთ საჩვენოდ-კონკურენტებზე უკეთესი გავაკეთეთ. თადარიგი დავიჭირეთ და თავდაპირველად, პატარა გავაკეთეთ, ერთგვარი ტესტი იყო და მივხვდით, რა უნდა გვეკეთებინა და რა მიმართულებით წავსულიყავით.

_თქვენი ნაზუქი განსხვავებულია, ვიზუალურადაც და გემოებით. როგორც ვიცი, ისტორიული გემო დააბრუნეთ:

-გადავწყვიტეთ, ძველი, ტრადიციული ნაზუქი დაგვებრუნებინა. ისტორიული წყაროებიდან ვიცოდით, რომ ნამდვილი ნაზუქი, ფურნის ნაზუქია- შემდეგ მოხდა მისი თონეში ცხობა და ამ ფორმით დაიმკვიდრა სახელი. პურის ცხობის შემდეგ, მიაყოლებდნენ ხოლმე, მასაც თავისებური გემო აქვს და პოპულარულიც გახდა. რა შემადგენლობაც ნამდვილ ნაზუქს აქვს, იმ ცომის მიკვრა თონეზე წარმოუდგენელია. 17 სახეობის ინგრედიენტს აერთიანებს, რაც სძენს განსაკუთრებულ არომატს.

- იქამდე, სანამ სრულ-ყოფილ გემომდე მიხვი-დოდით, რა პროცესები გაიარეთ?

-დასაწყისი არ ყოფილა მარტივი. მოვიძიეთ მისი მომზადების წესი,

(დასასრული VI გვერდზე)

„ნატიფი ნაზუქი“ -ბრენდი, რომელმაც უმოკლეს ვადაში „დაიპყრო“ სამომხმარებლო ბაზარი

(დასასრული)

შემადგენლობა, ინგრედი-ენტები და მცდელობებში, რომ მიგვეღო მისი ნამდვილი, პირველსაწყისი გემო, ნახევარ ტონამდე ცომი გადავყარეთ ექსპერიმენტებში, საბოლოოდ მივიღეთ ის, რაც დღეს ნატიფი ნაზუქის სახელით განაგრძობს არსებობას და ზუსტად ისაა, რაც გვინდოდა ყოფილიყო. კადრებისთვისაც რთული იყო ეს პროცესი, რადგან ლაბორატორიული სიზუსტით უნდა მოხდეს დამზადება.

-სახელიც განსხვავებულია, გამოგიტყდებით, სანამ „ნატიფის“ ისტორიას გავიგებდი, ძალიან მეუცნაურა სახელი და ვერ დავაკავშირე ნაზუქთან.

-ძველად ნაზუქს ერქვა ნატიფი-გადავამოწმეთ ისტორიულად, რომ რამე უზუსტობა არ ყოფილიყო. სპარსელების შემოსვლის შემდეგ, დაარქვეს ნაზუქი, რაც ნიშნავდა ლამაზ ქალს. რადგან ძველი გემოს აღდგენა გადავწყვიტეთ, სახელიც შესაბამისად დავარქვით.

- დასაწყისი როგორი იყო, პირველი გასვლა ბაზარზე, მოლოდინები, რეალობა...

-თავდაპირველად, ნაზუქის და მესხური ტექნოლოგიით დამზადებული პურის ცხობა დავიწყეთ. ობიექტი სურამში გავხსენით და მხოლოდ ამ ორ სახეობაზე ვიყავით ორიენტირებული. გაყიდვები ზუსტად ისე წარიმართა, რა მოლოდინებიც გვქონდა. მოგვეცა საშუალება, დავკვირვებოდით მომხმარებლებს, რამდენად კარგად მიიღეს ახალი გემო, მივხვდით , რომ მოეწონათ, გადავწყვიტეთ, იქ გაგვეხსნა ახალი ობიექტი, სადაც ყველაზე დიდი იყო მოხმარება და მოთხოვნილებაც. ავდექით და იქ გავხსენით, სადაც ყველაზე გაყიდვადი სანაზუქეები იყო.

-მეორე ფილიალი, ერთგარ ბრენდადქცეულ „სერგოს ნაზუქის“ წინ გახსენით? დამეთანხმებით, ძალიან ბევრი შეშინდებოდა კონკურენციით.

-კარგად შევისწავლეთ კონკურენტის შესაძლებლობები, შევადარეთ, გავხსენით უკეთესი ვიზუალის ობიექტი, ავიღეთ განსხვავებული გემო, გავმართეთ კომპიუტერულად -ვაკვირდებით გაყიდვების სტატისტიკას, რისი შესაძლებლობაც არ აქვთ სხვა ობიექტებს, ჩავდეთ პატარ-პატარა

მარკეტინგული ხრიკები, გარედიზაინში, მართვაში. ჩვენი მიზანი იყო, გაგვეხსნა იქ, სადაც ბევრი მომხმარებელი იქნებოდა, დანაჩენი უკვე ჩვენი შრომის და გამოცდილებით უნდა მოსულიყო.

- სურამის სამი ფილიალის შემდეგ, ხაშურის ათვისებაც დაიწყეთ, სადაც უკვე ორი ფილიალი დაემატა.

-ხაშურიდანაც ბევრი მომხმარებელი გვყავდა, სურამშიუწევდათ ამოსვლა, პროდუქციის შესაძენად, ამიტომ გადავწყვიტეთ, ერთგვარი კომფორტი შეგვექმნა მათთვის და სხვა მომხმარებლებიც გაგვეჩინა.

- რამდენი სახის პროდუქტს სთავაზობთ მომხმარებელს?

-მოთხოვნილებიდან და უკვე გამოცდილებიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, წარმოება ნელ-ნელა გაგვეფართოებინა, და დღეს, „ ნატიფს“ წამოებაში 40 დასახელების პურ-ფუნთუშეული აქვს. სხვადასხვა სახეობის ხაჭაპური, ლობიანი, ფუნთუშები, პურის ნაირსახეობები.

სალომე ხაჩიძე, „ნატიფის“ თანადამფუძნებელი:

-მაქსიმალურად შევეცადეთ, რომ კულტურული ბრენდებისთვის მოგვეყარა თავი, როგორიცაა ნაზუქი, ბადიაურის პური. ჩვენ პოზიციას ვიმყარებთ ბაზარზე იმდენად, რომ აღარ შეგვეშინდეს კონკურენტების და ჩვენი ნიშა გვეჭიროს. რაც ვფიქრობ, დაუღალავი შრომის და ფიქრის შედეგია.

მიუხედავად იმის, რომ მოსახლეობა მაინც თონის ნაზუქსაა მიჩვეული და ეს გონიათ კლასიკური ნაზუქი, ჩვენი ნაზუქი ძალიან გემრიელია და ის არომატები აქვს, რაც სახასიათოს და გამორჩეულს ხდის. ყოველდღიურად ვცდილობთ, გავაუმჯობესოთ გემოები და შევინარჩუნოთ სტანდარტი. არ მახსოვს შემთხვევა, მომხმარებელს გაესინჯოთ ჩვენი ნაზუქი და არ დარჩენილიყოს ერთგული. შესაბამისად, დიდი სტიმულიცაა ჩვენთვის და გვაძლევს იმის სტიმულს, ორიენტირებულები ვიყოთ გაუმჯობესებაზე და ხარისხის შენარჩუნებაზე. არასტაბილური ბაზრის მიუხედავად, ვცდილობთ, შევინარჩუნოთ ფასებიც და გემოებიც იყოს ისეთი, რომელიც გასინჯვის პირველ დღეს ახსოვთ.

- შეიძლება ვთქვათ, რომ „ნატიფი“, ჩვენს ბაზარზე ერთ-ერთი მსხვილი დამსაქმებელიცაა?

-ამ ეტაპზე, 65 ადამიანი გვყავს დასაქმებული. ყველა წუწუნებს კადრების სიმცირეზე, ჩვენ ამის პრობლემა არ გვაქვს. მაქსიმალურად მათზე მორგებულ სამუშაო პირობებს და ანაზღაურებას ვთავაზობთ. ყველანაირად ვცდილობთ, კომფორტი შევუქმნათ მუშაობის პროცესის გასაუმჯობესებლად, ვუსმენთ მათ იდეებს და ვითვალისწინებთ. გუნდური მუშაობა არის ის, რასაც მოაქვს წარმატება და სტაბილურობა.

- თქვენს პროდუქციას, უკვე ადგილობრივ მაღაზიებშიც შევხვდებით, რაც ვფიქრობ, ერთგვარი კომფორტია მომხმარებლისთვის.

-ქსელში, დაახლოებით სამი თვეა გავედით, გაგვქონდა კრუასანების და ფუნთუშების ნაირსახეობა, თუმცა ამ ეტაპზე მხოლოდ ბაგეტზე ვმუშაობთ. დღედღეზე, სხვა ნაწარმსაც შევიტანთ და სამომავლო მიზანი, ჩვენი სადისტრიბუციო ქსელის შექმნა და გამართვაა.

- პრობლემები, რომლებიც გხვდებათ საქმიანობის პროცესში?

-პირველ ეტაპზე, რაც სერიოზულ პრობლემას ქმნიდა, ეს იყო, კვალიფიციური კადრების არარსებობა. დღეს ეს პრობლემა აღარაა, ჩვენვე შეგვიძლია, გადავამზადოთ და შევასწავლოთ საქმე, იქნება ეს ცხობა თუ ადმინისტრაციული საქმიანობა. ძალიან ბევრი ვიმუშავეთ, რომ აქამდე მოვსულიყავი. იყო ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზები, ფორსმაჟორული ამბები, როგორიცაა სტიქიური მოვლენები, მაგრამ ეს ეტაპებიც გადავლახეთ უმტკივნეულოდ.

- ბოლოს, სად ხედავთ „ნატიფ ნაზუქს, გარდა ხაშურის მუნიციპალიტეტის?

-რთულია სამომავლო გეგმებზე ვილაპარაკოთ. ხშირია, შემოთავაზებები სხვადასხვა ქალაქებიდან, გვთავაზობენ თანამშრომლობას. თუმცა, ამ ეტაპზე, არ ვთანხმდებით, ვცდილობთ, ჩვენვე გავიდეთ ყველა რეგიონში, რაც გარკვეულ სირთულეებს ქმნის. თუმცა, არ გამოვრიცხავთ, იყოს სარფიანი შემოთავაზება თანამშრომლობაზე და დავთანხმდეთ ერთი პირობით, რომ „ნატიფის“ ლოგოს ქვეშ გაერთიანდე. გვაქვს ამ ეტაპზე ბაკურიანში, თბილისში, გორში, ბათუმში შემოთავაზება. ბორჯომს და სხვა საკურორტო ზონებს, როცა დიდ ქალაქებს დავფარავთ, შემდეგ შევალთ.

თ. ჯავახიშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.